

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

შპს არქიდეა
შპს სტუდიო არქიდეა

ს/ნ 204952195
ს/ნ 404605539

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობა.....	5
კაპიტალის ცვლილებების უწყისი.....	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2022	2023	2024
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1 277 734,00	1 234 210,00	1 332 855,00
გრძელვადიანი ინვესტიცია	421 822,00	421 824,00	421 824,00
სულ გრძელვადიანი აქტივები	1 699 556,00	1 656 034,00	1 754 679,00
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	982 284,00	1 325 144,00	1 959 573,00
სავაჭრო მოთხოვნები	83 500,00	48 668,00	189 381,00
მარაგები	3 099 457,00	3 695 432,00	3 254 657,00
გადახდილი ავანსები	806 305,00	1 070 404,00	519 156,00
მისაღები პროცენტები	6 147,00	6 147,00	
საგადასახადო აქტივი	443 038,00	568 317,00	385 246,00
სულ მიმდინარე აქტივები	5 420 731,00	6 714 112,00	6 308 013,00
სულ აქტივები	7 120 287,00	8 370 146,00	8 062 692,00
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	111 915,00	75 830,00	56 267,00
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	111 915,00	75 830,00	56 267,00
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3 310 360,00	3 929 907,00	2 278 751,00
სხვა ვალდებულებები	7 833,00	12 417,00	658,00
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3 318 193,00	3 942 324,00	2 279 409,00
სულ ვალდებულებები	3 430 108,00	4 018 154,00	2 335 676,00
კაპიტალი			
კაპიტალი	152 000,00	152 000,00	152 000,00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3 538 179,00	4 199 992,00	5 575 016,00
სულ კაპიტალი	3 690 179,00	4 351 992,00	5 727 016,00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	7 120 287,00	8 370 146,00	8 062 692,00

დირექტორი:

ლილი ქინქლაძე



შპს არქიდეა


შპს სტუდიო არქიდეა

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	7 095 825,00	9 601 514,00
სულ საოპერაციო შემოსავლები	7 095 825,00	9 601 514,00
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	4 993 808,00	6 469 679,00
ხელფასები	1 025 643,00	1 272 593,00
ცვეთა და ამორტიზაცია	68 137,00	74 823,00
სხვა ხარჯი	228 578,00	227 890,00
საიჯარო ქირა	79 715,00	94 248,00
სულ ხარჯები	6 395 881,00	8 139 233,00
მიღებული მოგება/ზარალი	699 944,00	1 462 281,00
არასაოპერაციო ხარჯები		
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	247,00	7 180,00
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		2 874,00
საპროცენტო ხარჯი	5 801,00	3 699,00
უარყოფითი საკურსო სხვაობა	22 302,00	76 344,00
არასაოპერაციო შემოსავალი		
დადებითი საკურსო სხვაობა	17 413,00	10 691,00
არასაოპერაციო შემოსავალი	53 902,00	27 792,00
საპროცენტო შემოსავალი		933,00
მიღებული დივიდენდი	10 000,00	31 500,00
მოგების გადასახადის ხარჯი	14 659,00	10 616,00
მოგება/ზარალი	738 250,00	1 432 484,00

დირექტორი:

ლილი ქინქლაძე



შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2024
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	7 394 410,00	9 518 950,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 973 105,00)	(8 652 766,00)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	421 305,00	866 184,00
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისა და გაუმჯობესებისთვის	(26 151,00)	(171 022,00)
მიღებული პროცენტი		933,00
მიღებული დივიდენდები	10 000,00	31 500,00
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(16 151,00)	(138 589,00)
საფინანსო საქმიანობა		
დივიდენდების გადახდა	(76 437,00)	(54 660,00)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(76 437,00)	(54 660,00)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	328 717,00	672 935,00
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	982 284,00	1 325 144,00
სავალუტო კურსის ეფექტი	14 143,00	(38 506,00)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	1 325 144,00	1 959 573,00

კაპიტალის ცვლილების უწყისი	2023	2024
საწყისი ნაშთი	3 690 179,00	4 351 992,00
კაპიტალის გაზრდა		
წლის წმინდა მოგება	738 250,00	1 432 484,00
დაუფარავი ზარალი		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		78,00
მოგების განაწილება	76 437,00	57 538,00
საბოლოო ნაშთი	4 351 992,00	5 727 016,00

დირექტორი:

ლილი ქინქლაძე



1. ჯგუფის ძირითადი საქმიანობა და ზოგადი აღწერა

შპს "არქიდეა" არის 2000 წლის 14 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., #74, სართული 10.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს კომერციულ ფართებს, რომელსაც სრულად იყენებს მის ძირითად საქმიანობაში:

საოფისე ფართი და სარდაფი: ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრიაშვილი , N 25-27-29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გალი , N 4.

ფართი და სარდაფი: ქალაქი თბილისი , ამალეების (დავითაშვილის) ქ. , N3

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია: ნინო ქიქოძე პ/ნ 01024036362 - 100%.

ძირითადი საქმიანობა: საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით.

საწარმოს ხელმძღვანელობს დირექტორი ლილი ქინქლაძე.

2020 წლის დეკემბრის თვეში კომპანია გახდა შპს "სტუდიო არქიდეას" 51 % წილის მფლობელი.

"სტუდიო არქიდეას" 49%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია თეა ჭოველიძე (პ/ნ 01030005892).

"სტუდიო არქიდეას" საქმიანობის სფერო იგივეა, რაც შპს "არქიდეასი" - საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით.

"სტუდიო არქიდეა" ფლობს კომერციულ ფართს, რომელსაც იყენებს მის ძირითად საქმიანობაში:

სარდაფი: ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრიაშვილი , N 25-27-29 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გალი , N 4

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. ჯგუფის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე საფუძველი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

წარსადგენი ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვეითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები აღიარდება ხარჯად შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	25 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	7 - 10 წელი
ავტომანქანები	5 წელი
მიწის ნაკვეთები	არა ცვეთადი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ჯგუფი მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიარებს გაუფასურების ზარალს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ძირითად ნაწილს წარმოადგენს გასაყიდი ავეჯი, პარკეტი, განათება და აქსესუარები, რომელთა შესყიდვაც ხდება მყიდველის შეკვეთის საფუძველზე. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომ ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) ჯგუფი ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

ჯგუფში ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასი.

ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სესხები

სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივების შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ მნიშვნელოვანი დრო დანიშნულებისამებრ გამოყენების ან გასაყიდად მოსამზადებლად (კვალიფიცირებული აქტივები), კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

ყველა სხვა სესხის აღების ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიქმნება. სესხის აღების ხარჯები შედგება პროცენტებისა და სხვა ხარჯებისგან, რომლებიც წარმოიქმნება ნასესხები სახსრებიდან.

გრძელვადიანი ინვესტიციები

ჯგუფის გრძელვადიანი ინვესტიციებს წარმოადგენს ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში. ინვესტიციები აღიარებული და შეფასებულია თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ინვესტიციიდან მიღებული დივიდენდები და სხვა სახის განაწილებები აღიარდება, როგორც შემოსავალი, იმის მიუხედავად, საიდან იქნა მიღებული ეს განაწილებები: მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან, რომელიც წარმოიქმნა ინვესტიციის შეძენის თარიღამდე, თუ ინვესტიციის შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში წარმოქმნილი გაუნაწილებელი მოგებიდან.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს ჯგუფის მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, პლუს ამ ინვესტიციების (შენატანების) მატება, რომელიც მიღებულ იქნა ჯგუფის მომგებიანი საქმიანობებიდან და ჯგუფში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში

გამოყენების მიზნით, მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირე რისკს.

შემოსავლების აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც ჯგუფი ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

საოპერაციო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. ჯგუფში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) აქტივების გაუფასურება და ანარიცხების აღრიცხვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე ინდიკატორი რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება შემცირებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებ თანხამდე. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

მხედველობაში მიიღო ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაადგინა, რომ გაუფასურების ასეთი ინდიკატორი არ არსებობს და შედეგად ჯგუფში არ ჩატარებულა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ტესტი.

4. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	შენიშვნები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავეჯი და ინვენტარი	ავტო სატრანსპორტო საშ-ება	სულ
31.დეკ.23	1178348	7018	48844	0	1011838
შემოსვლა	71660	29676	31219	49624	182179
ცვეთა და გაუფასურება	51080	2163	19470	2109	74822
გასვლა		5555	1625		7180
შიდაჯგუფური ოპერაცია	-1532				
31.დეკ.24	1197396	28976	58968	47515	1332855

ჯგუფის მიერ დარიცხული ცვეთის მთლიანი თანხა აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. გრძელვადიანი ინვესტიციები

ჯგუფის გრძელვადიანი ინვესტიციები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

გრძელვადიანი ინვესტიციები	31.12.2023	31.12.2024
ინვესტიცია შპს ლინიტში	421824,00	421824,00
სულ	421824,00	421824,00

ჯგუფის 2022 და 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გათვალისწინებული შიდაჯგუფური ოპერაციები, რის შედეგადაც გრძელვადიანი ინვესტიციების მუხლი გაზრდილი იყო 199618,00 ლარით. 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შესაბამისი კორექტირება.

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

შპს არქიდეა	31.12.2023	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	1082546,00	1757653,00
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	11525,00	8862,00

შპს სტუდიო არქიდეა	31.12.2023	31.12.2024
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	231059,00	192744,00
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	18,00	314,00

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დენომინირებულია ლარში.

7. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სმფ	სარეალიზაციო საქონელი	სარეკლამო მასალა	სხვა მარაგები	სულ
31.დეკ.23	3669702	13706	12024	3695432
შემოსვლა	6187980	4874	1620	6194474
გასვლა	6624958	2095		6627053
შიდა ჯგუფური ოპერაცია	-8196			-8196
31.დეკ.24	3224528	16485	13644	3254657

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გათვალისწინებული შიდაჯგუფური ოპერაციები, რის შედეგადაც მარაგების მუხლი გაზრდილი იყო 474,00 ლარით. 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შესაბამისი კორექტირება.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვემდეა. ჯგუფს არ აქვს აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება.

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

შპს არქიდეა	2022	2023	2024
სავაჭრო მოთხოვნები	57 956,00	33 079,00	67 055,00

შპს სტუდიო არქიდეა	2022	2023	2024
სავაჭრო მოთხოვნები	25 544,00	15 589,00	122 326,00

9. გადახდილი ავანსები

კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილია მომწოდებელზე გადახდილი ავანსები. კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან არარეზიდენტი საწარმოები, რომლებთანაც კომპანიას გაფორმებული აქვს შესყიდვის ხელშეკრულებები და გადახდას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. ფინანსურ ანგარიშგებაში მომწოდებელზე გადახდილი ავანსები დენომინირებულია ლარში გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსით.

შპს არქიდეა	2022	2023	2024
გადახდილი ავანსები	745 410,00	812 943,00	433 714,00

შპს სტუდიო არქიდეა	2022	2023	2024
გადახდილი ავანსები	60 895,00	257 461,00	85 442,00

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს:

შპს არქიდეა	2022	2023	2024
სავაჭრო ვალდებულებები	32 758,00	140 638,00	11 006,00
სხვა ვალდებულებები	7 833,00	10 692,00	543,00

შპს სტუდიო არქიდეა	2022	2023	2024
სავაჭრო ვალდებულებები	6 917,00	2 076,00	2 383,00
სხვა ვალდებულებები	0,00	1 725,00	115,00

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოკლევადიანი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა არ აღემატება 12 თვეს. ჯგუფს ვადაგადაცილებული ვალდებულებები არ გააჩნია.

11. მიღებული ავანსები

ჯგუფი წინასწარ იღებს შეკვეთებს მომხმარებლებისგან მისაწოდებელ პროდუქციაზე, რა დროსაც ხდება მომხმარებლის მხრიდან ავანსად თანხის გადახდა. მიღებული ავანსი იხურება პროდუქციის მიწოდების საანგარიშგებო პერიოდში.

ჯგუფის მიღებულ ავანსებს შეადგენს:

შპს არქიდეა	2022	2023	2024
მიღებული ავანსები	2 898 009,00	3344509,00	1 702 085,00

შპს სტუდიო არქიდეა	2022	2023	2024
მიღებული ავანსები	372 676,00	442 684,00	563 277,00

12. ამონაგები

ჯგუფის ამონაგებს შეადგენს:

2023წ	2024წ
7 095 825,00	9 601 514,00

ჯგუფის ძირითადი შემოსავალი შედგება პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომელიც აღიარდება პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების მომენტში.

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გათვალისწინებული შიდაჯგუფური ოპერაციები, რის შედეგადაც ამონაგების მუხლი გაზრდილი იყო 10 169,00 ლარით. 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შესაბამისი კორექტირება.

13. ხარჯები

ხარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება, რომლის აღიარება ხდება პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების მომენტში:

17

6-19 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

2023წ	2024წ
4 993 808,00	6 469 679,00

ჯგუფის 2023 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო გათვალისწინებული შიდაჯგუფური ოპერაციები, რის შედეგადაც გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების მუხლი გაზრდილი იყო 9 694,00 ლარით. 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა შესაბამისი კორექტირება.

ჯგუფის სხვა ხარჯებს შეადგენს:

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	2024
მომსახურების ხარჯი	27776,00
რეკლამის ხარჯი	7739,00
კომუნალური ხარჯი	12127,00
საკანცელარიო ხარჯი	190,00
დაცვის მომსახურება	1554,00
საგადასახადო ხარჯი	15007,00
კომუნიკაციის ხარჯი	16338,00
დაზღვევა	3662,00
მივლინება	40616,00
კომპიუტერის ხარჯი	1695,00
სამეურნეო ხარჯი	7750,00
რემონტის ხარჯი	4819,00
საბანკო ხარჯი	57213,00
წარმომადგენლობითი ხარჯი	6149,00
საპენსიო სააგენტოს ხარჯი	25255,00
სულ	227890,00

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები იხილეთ ქვემოთ:

შპს არქიდეა-

შპს სტუდიო არქიდეა	2023წ	2024წ
რეალიზაცია	-	38925,00
შესყიდვა	10 170,00	63890,00

შპს არქიდეა

შპს სტუდიო არქიდეა

შპს არქიდეა - შპს ლინიტი	2023წ	2024წ
რეალიზაცია	283819,00	282875,00
შესყიდვა	432,00	15695,00

ჯგუფის მენეჯმენტისთვის გაცემული სარგებელი:

2024 წლის პერიოდში შეადგენს 136 024,00 ლარს, ხოლო 2023 წელში 116 204,00 ლარს.

15. მიღებული დივიდენდები

ჯგუფის მიერ მიღებული დივიდენდებია:

	2023წ	2024წ
შპს ლინიტისგან	10000,00	31500,00

16. სესხები

შპს სტუდიო არქიდეამ 2021 წლის სექტემბერში სს საქართველოს ბანკისგან აიღო ბიზნეს სესხი საბრუნავი საშუალებებისთვის 6 წლის ვადით 55 000 ევროს ოდენობით, წლიურ 5,5%-ად. სესხის ძირის დაფარვა ხდება ყოველთვიურად გრაფიკის მიხედვით. 2024 წელს დაიფარა 6 287 ევრო. სესხი სრულად დაიფარება 2027 წლის სექტემბერში. სესხზე გადახდილი პროცენტი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საპროცენტო ხარჯად.

17. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას და ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.